ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N71

2025 წელი; 28 თებერვალი; 11:00 სთ; **ქ. თბილისი**

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. **ვაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ვალერი ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
4. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
5. **თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
6. **ლევან მამალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. **ლევან არძენაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი იურისტი;
8. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
9. **თათია ბარაქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
10. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
12. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**
13. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.544) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N61, ბლოკი C3, სართული 8, ბინა N165, საკადასტრო კოდი: 01.14.06.004.004.03.01.165) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის - მანანა მაჭავარიანის (პ/ნ 01018003382) უფლებამონაცვლისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 1457 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.126) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე ურავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისში, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

19. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.018) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.161.01.503) არსებული ურავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3-ის, მე-4 მიკრორაიონის N425ა-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N 01.19.39.002.027.04.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ზესიკის ქუჩა N9-ში არსებული 66.51 კვ.მ ფართის (მათ შორის 3.5 კვ.მ ბაქანი) (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.056.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 44.98 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1071) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნათია კვარაცხელიასთვის (პ/ნ: 01031004179) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
26. „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქუჩა N9-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.046) პირდაპირი განკარგვის წესით, დავით აბაშიძისთვის (პ/ნ: 01010014918) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
27. ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის“ (ს/კ: 405252471) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
28. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 8 კ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ბიგბენისთვის“ (ს/ნ: 405514180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.018) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ჯიოსისთვის" (ს/ნ:405150447) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1-13-ის მიმდებარედ არსებული 1810 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.005.084) 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ქეთევან გოროზიასთვის (პ/ნ: 01024009616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ;**

31. „ქალაქ თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.037.050) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხოშტარია 2"-სთვის (ს/ნ:404589147) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პრპექტი;**

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

34. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N46-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

36. „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან ((EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი - პროექტის განხორციელების მხარდაჭერის" შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

37. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი,

გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3 028 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კათალიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩა N17, N17ა, N19, N21, N23, N25, N21ა, N23ა; ქალაქი თბილისი დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.200.009, ფართობი - 2 800 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245, ფართობი 5 496 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2 348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (2 085,7 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით**, კერძოდ: **იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 600,0 ათასი ლარით** (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 4 თებერვლის N15-01250351692 წერილი). შესაბამისად, **წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 685,7 ათასი ლარით და შეადგენს 2 195 548,6 ათას ლარს.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება: საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 880,4 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) – 567,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 600,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 38,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 30,0 ათასი ლარით.

მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 30,0 ათასი ლარით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) - ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა ერთი ერთეულით. **შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4971 ერთეულით.**

მომხსენებლის მითითებით, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ემატება ახალი ქვეპროგრამა -

პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 600,0 ათასი ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 778,0 ათასი ლარის ოდენობით,** და **ნაშთის ცვლილება 211 770,6 ათასი ლარით.** ამასთანავე, **შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 778,0 ათასი ლარის ოდენობით,** ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია **987 349.2 ათასი ლარით,** აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 44 455,3 ათას ლარს, ხოლო **ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 167 315,3** ათასი ლარით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველ მუხლში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების, ასევე დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაციის სწორი ფორმით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) დებულების დამტკიცებას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სამსახური რამდენიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფად (განყოფილებად) იყოფა, რომელთა ფუნქციებიც სწორედ ზემოხსენებული დებულების მოქმედი რედაქციით არის გაწერილი. **მომხსენებლის მითითებით, აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის სწორი ფუნქცია-მოვალეობების მინიჭებასა და კონკრეტული, ახალი მიმართულებების განსაზღვრა/ჩამოყალიბებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სამუშაო გარემოს მოქნილობას.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის, ვალერი ჭიღლაძის განმარტებით, ახალი დადგენილების შემუშავება ითვალისწინებს როგორც ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, აგრეთვე, შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებას.

ასევე მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტი, მისი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2025 წლის 17 მარტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ვალერი ჭიღლაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალიწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „სამსახური") დებულების დამტკიცებას.**

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანიზაციების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 დეკემბრის N1-637 ბრძანებით, 2025 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაცია, რომლის მიზანია სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა. ვალერი ჭიღლაძემ აქვე დასძინა, რომ სამსახური რამდენიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფად (განყოფილებად) იყოფა, რომელთა ფუნქციებიც სწორედ ზემოხსენებული დებულების მოქმედი რედაქციით არის გაწერილი. **აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს, სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის სწორი ფუნქცია-მოვალეობების მინიჭებას, კონკრეტული და ახალი მიმართულებების განსაზღვრა/ჩამოყალიბებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ერთ-ერთ ცვლილებას წარმოადგენს დადგენილების მოქმედი რედაქციის მიხედვით არსებული ტურიზმის განყოფილების გაუქმება და მისი რიგი ფუნქციების ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის განყოფილებისთვის მინიჭება. ორივე ზემოხსენებული განყოფილების მიზანია თბილისის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა, ტურისტული და სხვა სახის ინვესტიციების მოზიდვა, ქალაქის, როგორც ტურისტულად, ასევე საინვესტიციოდ მიმზიდველი მიმართულების წარმოჩენა ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება და კერძო სექტორის ჩართულობა და ეკონომიკური აქტიურობა. თბილისის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში, მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობა ხშირად იკვეთებოდა და თანხვედრაში გახლდათ ერთმანეთთან. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის

ოპტიმიზაციის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროება დაკარგა ტურიზმის განვითარების განყოფილების არსებობამ და მოხდა მისი გაუქმება. განხორციელდა ცვლილებები სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციების დაზუსტების და გამიჯვნის მიზნით: კერძოდ, წინა რედაქციაში ბიზნესის განვითარების განყოფილებაში გვხდებოდა მუხლები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტიციების განვითარების შესახებ. პრაქტიკაში აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენდა ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის განყოფილების ფუნქციებს, შესაბამისად მიენიჭა აღნიშნულ განყოფილებას.

ვალერი ჭიღლაძის მითითებით, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს, რასაც თითოეული მათგანი პრაქტიკაში ახორციელებს. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით ანალიტიკურ განყოფილებას დაემატა ეკონომიკური და ბიზნეს ფორუმების განხორციელების ფუნქცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. **ვალერი ჭიღლაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპურ დებულებებში ცვლილების შეტანას.** კერძოდ, ცვლილებით განისაზღვრება გამგებლის მოადგილეების ძირითადი ფუნქციები.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანიზაციების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 დეკემბრის N1-637 ბრძანებით, 2025 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაცია, რომლის მიზანია სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში.

მომხსენებლის განმარტებით ცვლილება შედის **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში** და განისაზღვრება, რომ გამგებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე ანაწილებს ძირითად ფუნქციებსა და საკურატორო სტრუქტურულ ერთეულებს გამგებლის მოადგილეებს შორის. ასევე, **მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის** ცვლილებით გამგებელი

თავად გადაწყვეტს, რომელი სტრუქტურული ერთეულები იქნებიან თავის უშუალო დაქვემდებარებაში.

აგრეთვე, **მე-5 მუხლის მე-5 პუნქტში** განხორციელებული ცვლილებით ასევე განისაზღვრება, საკურატორო დარგების მიმართულებად დანაწილების ამოღება და გამგებლის მოადგილეების ძირითადი ფუნქციები გაერთიანდება.

ამასთან, პროექტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით ასევე განისაზღვრება **მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-6-მე-10 პუნქტების** ამოღება, ვინაიდან დღეს მოქმედი რედაქციით, აღნიშნული პუნქტები, მოიცავენ გამგებლის მოადგილეების ძირითად ფუნქციებს და დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს საკურატორო დარგების მიხედვით. ძირითადი ფუნქციებისა და დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების გაერთიანების და მათი განაწილების უფლებამოსილების გამგებელზე დაკისრების გამო ხდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-6-მე-10 პუნქტების ამოღება.

ასევე მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტი, მისი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2025 წლის 17 მარტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული რეორგანიზაციის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები შტატების ოპტიმიზაციის მიზნით. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში უქმდება მერიის აპარატის (სამსახური) საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება და მერიის აპარატის (სამსახური) პროტოკოლის განყოფილებას ეცვლება სახელწოდება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი), მერის მოადგილეების და მერიის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა მცირდება 5 (ხუთი) ერთეულით.

საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და სამუშაო გარემოს მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, ცვლილებები განხორციელდება ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურების საშტატო ნუსხაშიც. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად - **ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება იყოფა ორ დამოუკიდებელ განყოფილებად, ცალკე გამოიყოფა ნებართვების განყოფილება და შეიქმნება სრულიად ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი - მონიტორინგის განყოფილება.**

მონიტორინგის განყოფილებას გადაუნაწილდება ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილების ფუნქციების ნაწილი და აგრეთვე, დაემატება რამდენიმე სრულიად ახალი ფუნქცია. **მისი ძირითადი მიმართულება იქნება საზედამხედველო საქმიანობა.** რაც შეეხება **ნებართვების განყოფილებას, მის ძირითად მიმართულებად დარჩება არქიტექტურული პროექტების წარმოებაში ჩართულობა.**

გასათვალისწინებელია, რომ **რეორგანიზაციის ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ემატება სატყეო პოლიტიკის განყოფილებას.** გარდა ამისა, ვინაიდან სამსახურს ემატება მონიტორინგის განყოფილება, აუცილებელია სხვადასხვა განყოფილებაში არსებული შტატების გაუქმება და ზოგიერთი მათგანის ახალ განყოფილებაში გადანაწილება.

მომხსენებელმა ზახი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს და საჭიროებებს, რასაც ითითოეული მათგანი დღეის მდგომარეობით პრაქტიკაში ახორციელებს, შესაბამისად, აღნიშნულმა განაპირობა 3 არსებული შტატის გაუქმების აუცილებლობა.

ვალერი ჭიღლაძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხაში ოპტიმიზაციის მიზნით წარმოადგინა შემდეგ ცვლილებები:

განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებაში მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების რაოდენობა შემცირდება 1 (ერთი) საშტატო ერთეულით და ნაცვლად 4 (ოთხი) საშტატო ერთეულისა გახდება 3 (სამი);

კულტურის პროექტების და პროგრამების განყოფილებაში მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების რაოდენობა შემცირდება 2 (ორი) შტატით.

ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის შტატების რესტრუქტურიზაციის შედეგად სამსახურის საშტატო ერთეულები შემცირდა 4 ერთეულით და განისაზღვრა 56 ერთეულით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტი, მისი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2025 წლის 17 მარტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხხსის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-102 დადგენილებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილებაში უქმდება სოციალური პროექტების განყოფილების ორი მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების მიზეზს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობაში რეორგანიზაციის ფარგლებში შტატების ოპტიმიზაცია.

ვალერი ჭიღლაძემ დამატებით აღნიშნა, რომ **დადგენილება**, მისის დამტკიცების შემთხვევაში **ამოქმედდება 2025 წლის 17 მარტიდან.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადმიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი პუნქტის სტილისტურად სწორი ფორმით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ვალერი ჭიღლაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის შესახებ რეზიუმე, ასევე აღნიშნა რომ, დავით ხაბეიშვილი 2023 წლიდან იკავებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას.

აზრი გამოთქვეს:

ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ წარდგენილი კანდიდატი 2023 წლიდან იკავებდა ისნის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობას. მან ასევე ხაზი გაუსვა დავით ხაბეიშვილის პროფესიონალიზმს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

8. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, შესაძლებელს გახდის კომპანიის მხრიდან მრავალკომპონენტიან, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა სრულყოფილად, თანამედროვე სტანდარტებისა და არსებული გამოწვევების შესაბამისად შესრულებას, რასაც პირდაპირ უზრუნველყოფს წარმოდგენილ პროექტში ასახული მომსახურების ახალი სახეობები და მასალები. შეიცვალა გათვალისწინებულ სამუშაოთა ღირებულება და შესაბამისად, კომპანიის მხრიდან შესასრულებელი სამუშაოთა ღირებულებები დაკორექტირდა დღეს არსებული საბაზრო ღირებულების მიხედვით;

დავით ჩანქსელიანის განმარტებით, პროექტის მიღების მიზანია მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ მრავალკომპონენტიან, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა სრულყოფილად, თანამედროვე სტანდარტებისა და არსებული გამოწვევების შესაბამისად შესრულება.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტი მისი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2025 წლის 30 იანვრის N 1/ნ ბრძანების გათვალისწინებით, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებენ მუნიციპალიტეტები.** შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისის მიწოდებას, ქვეპროგრამის სახით.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, პერსონალური ასისტენტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების ბაზისური პრინციპების, პროცედურებისა და მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა.

მომხსენებლისვე მითითებით, ქვეპროგრამის მოსარგებლეები იქნებიან 18 წელს მიღწეული და უფროსი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისთვის რეგისტრირებული იქნებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. ამასთანავე, იმისათვის, რომ პირი ქვეპროგრამის მოსარგებლე გახდეს, საჭიროა არსებობდეს ცნობა/დასკვნა, რომლის მიხედვითაც, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ წესის მიხედვით, ქვეპროგრამის მოსარგებლეებად ვერ ჩაერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ისეთი პირები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის თანადაფინანსების" ქვეპროგრამში, სხვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებად „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში" ან სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის" პროგრამაში, ვინაიდან, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით" გათვალისწინებულ მომსახურებასაც, რაც გამორიცხავს ორივე მათგანში ჩართვის საჭიროებას.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომსახურების მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს რეგულარული და სპეციალიზებული ასისტირების მომსახურების მიმწოდებელი ასისტენტები,

რომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ქვეპროგრამის განმახორციელებელს უნდა წარედგინოს.

თამარ ბერუაშვილმა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და პერსონალური ასისტენტის შერჩევის პროცედურაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, განმცხადებელი (მაძიებელი პირი) უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებაში გაივლის შეფასების პროცედურას, რომელიც განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას და ასისტირების ტიპს. შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას, რომელიც ასევე წარდგენილ უნდა იქნეს მიმწოდებელ დაწესებულებაში. საბოლოოდ კი, მიმწოდებელი წერილობით მიმართავს განმახორციელებელს მაძიებელი პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, რასაც თან დაერთვება განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. საბოლოო გადაწყვეტილებას, მაძიებლის მოსარგებლედ/მომლოდინედ რეგისტრაციის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, მიიღებს განმახორციელებელი. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებს შორის.

მომხსენებელი გაწერილი მომსახურების შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობების საკითხსაც შეეხო და აქვე აღნიშნა, რომ განმახორციელებელი არ მოახდენს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს" რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით დადგენილი პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. ასევე, ნებისმიერი საქმიანობის მონიტორინგს, რასაც ესაჭიროება სამედიცინო ცოდნა ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიის ან/და ნებართვის მოპოვება, ვინაიდან აღნიშნული სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს" რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, დადგენილების ამოქმედებისთანავე, ქვეპროგრამის მიმწოდებლებად განისაზღვრებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლებად. ასევე, მოსარგებლეებად განისაზღვრებიან პირები, რომლებიც სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირებისგან იღებენ პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.

მოხსენების მიწურულს, **თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზვრა მისი გამოქვეყნების დღე, ხოლო აღნიშნული დადგენილების მოქმედება გავრცელდება 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების გამართულობის მიზანშეწონილობაზე, კერძოდ, სამართლებრივი საფუძვლებში მინისტრის ბრძანების რეკვიზიტების დაზუსტების, ასევე წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ჩანაწერის "და სხვა მსგავს პროგრამაში" დამატების რეკომენდაციაზე, რაც გამორიცხავს ერთი მომსახურების მისაღებად ერთდროულად რამდენიმე პროგრამაში შესაძლო ჩართვას. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

ნინო რუხაძემ დაინტერესება გამოხატა აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების საბიუჯეტო სახსრების შესახებ, რაზეც მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ **აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით** და ქვეპროგრამით გათვალისწინებული პერსონალური ასისტენტის მომსახურება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ლევან მამალაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N 17-56 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტს დაემატება „ცხოველთა პოპულაციის მართვის განყოფილება" ხოლო ადმინისტრაციულ დეპარტამენტს შემდეგი განყოფილებები: საფინანსო-მატერიალური განყოფილება, საორგანიზაციო განყოფილება და იურიდიული განყოფილება.

მომხსენებლის მიერ განიმარტა რომ, ზემოაღნიშნული ცვლილებების გამო წარმოიშვა აუცილებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ:

- დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს უნდა დაემატოს „გ" ქვეპუნქტი. ასევე ამავე მუხლს უნდა დაემატოს მე-4 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

- მე-7 მუხლს ემატება 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები, სადაც განსაზღვრულია „ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტში“ შემავალი განყოფილებების ფუნქციები.
- მე-8 მუხლს ემატება 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები, სადაც განსაზღვრული იქნება ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემავალი განყოფილებების ფუნქციები.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ იცვლება დებულების მეათე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი რომელიც აზუსტებდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილის მოვალეობებს, მხოლოდ ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ნაწილში.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და თანხვედრაში იქნეს მოყვანილი დადგენილების მოქმედ რედაქციასთან, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიმზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში“ ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2025 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო რეორგანიზაცია და სააგენტოს დაევალა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება რაც ითვალისწინებს, **სამსახურის საქმიანობის, მართვის ეფექტურობის, მოქალაქეებისათვის სერვისების მიწოდების გამარტივებისა, სტრუქტურის განახლებისა და კიდევ უფრო მეტად მოქნილობის მიზნებიდან გამომდინარე, ცვლილებებს, მათ შორის დებულებაში ისეთი ფუნქციების დამატებას, რომელსაც სამსახურები ფაქტობრივად ახორციელებენ.** კერძოდ, **მოადგილეს, რომელიც იმავდროულად ითავსებდა სამსახურის უფროსის ფუნქციებს/თანამდებობას (სააგენტოს უფროსის**

მოადგილე/სამსახურის უფროსი) გამოეყო სამსახურის უფროსის ფუნქციები/თანამდებობა და დებულების ახალი რედაქციაში ჩამოყალიბდა, მხოლოდ სააგენტოს უფროსის მოადგილის სტატუსით, ხოლო სააგენტოს სტრუქტურა წინამდებარე ცვლილების საფუძველზე ჩამოყალიბდა/დაზუსტდა სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების სახით.

გარდა ამისა, **დებულების ახალი რედაქციით უქმდება სააგენტოს უფროსის აპარატი, ვინაიდან მისი ფუნქციური და სტრუქტურული შინაარსის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით არსებობა.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ **წარმოდგენილი პროექტით, დებულებაში დაზუსტდა სააგენტოსა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აისახა დებულების სხვადასხვა მუხლებში. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ მუხლებში და სტრუქტურიზაციის თვალსაზრისით, მათ შორის ტექნიკურ ნაწილში ბევრი ცვლილებაა, ხორციელდება არსებული დებულების (დანართის) ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ასევე, პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველ მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს, თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი", შემდგომში: კომპანია) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულების" და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიას შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში: შეთანხმება) შესაბამისად, **ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხზე,** „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 თებერვლის №25.167.207 განკარგულების დანართი N1-ის შესაბამისად, აღნიშნულ პირთა მიერ შეთანხმებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით.**

ქონების მიმღებ პირებად განსაზღვრულია ქალაქ თბილისში, პაატა საკაძის ქუჩა N19-ში მდებარე ავარიულ შენობა-ნაგებობაში მცხოვრები 26 (ოცდაექვსი) მესაკუთრე პირი, რომელთაგან 1 (ერთი) პირი ასევე თვითნებურად ფლობს ამავე მისამართზე მდებარე უძრავ ქონებას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირებმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილობითი განცხადებებით, თანხმობა განუცხადეს:

- ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული შესაბამისი ფართობის ოდენობის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღების ან ალტერნატიული შესრულების მიღების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე საკუთრების უფლების გადაცემასა და აღნიშნული ფართების, ასევე დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სხვა შესაძლოდ დაკავებულ ფართების გამოთავისუფლებაზე შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის ვადაში.

ხელშეკრულებითა და შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირებისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, მოიაზრება: ქ. თბილისში, პაატა საკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები (შემდგომში: **მესაკუთრეები), ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული**

საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა საკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში (შემდგომში: **მფლობელები**).

შეთანხმება ითვალისწინებს მესაკუთრეებისა და მფლობელების დაკმაყოფილებას როგორც ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან ნაწილის გადაცემით, ისე, მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების (მათ შორის, სათანადო ფულადი ანაზღაურების) განხორციელების გზით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა საკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული პირები ასევე გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს, კერძოდ, აღნიშნული პირები უძრავ ქონებაში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს მფლობელობაში გადასცემენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს - მყიდველს. აღნიშნული პირობები, შეთანხმების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იყოს მყიდველსა და მესაკუთრეებს/მფლობელებს შორის გასაფორმებელ შესაბამის ხელშეკრულებებში. ამასთან, ზემოაღნიშნული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან, ის ნაწილი, რომლებიც არ გადაეცემა მესაკუთრეებს/მფლობელებს, ასევე ის ფართები, რომელთა მიმღები პირებიც (მესაკუთრეები/მფლობელები) უარს იტყვიან შესაბამისი პირობებით ქონების მიღებაზე (მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე), გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2024 წლის 09 დეკემბრის №33-01243444110 კორესპონდენციისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად. ამასთან, **იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მყიდველთან ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ან/და არ შეასრულებენ შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების (ქონების გადაცემა ან ალტერნატიული შესრულება) მიღების საპრივატიზებო პირობებს, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიება უქმდება და შესაბამისი ქონების მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში,**

შენობა N2-ში, მეორე სართულზე არსებული 33.36კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ფატიმა ძაძამიასთვის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **1995 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **დაინტერესებული პირის** და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა, სერგო ბირკაძემ, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგი, **რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში, მე-3 სართულზე არსებული 48.36კვ.მ უძრავი ქონების** პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **ნანა კვარაცხელიასთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **დაინტერესებული პირის** და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-15 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს:

ა) „ქალაქ თბილისში, **გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე უძრავ ქონებაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N330 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებაზე მანანა მაჭავარიანის ნაწილში;

ბ) ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა, N61, სართული 8, ბლოკი C3-ში მდებარე ბინა N165, მშენებარე ფართი: 79.5 კვ. მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის - მანანა მაჭავარიანის უფლებამონაცვლეებისთვის - ნოდარ ყანჩაველისა და ლევან ყანჩაველისთვის პრივატიზებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 სექტემბრის და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის განკარგულებების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „**სააგენტო**"), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს (შემდგომში - **„კოოპერატივის წევრები"**) /მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ სს „გრინ ქეფითალს" (შემდგომში - „**კომპანია**") შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისთვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „**ხელშეკრულება**"). ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს" შორის 2023 წლის 2 ოქტომბერს **2 219.4** კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება (შემდგომში **-„მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება"**).

მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ **2 219.4** კვ.მ ფართობის შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული მშენებარე ფართის კოოპერატივის წევრებისთვის/ მათი უფლებამონაცვლეებისთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიერ სახელმწიფო-საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

„ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის განკარგულებისა და „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N330 განკარგულების საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის **19 (ცხრამეტი) წევრს,** მათ შორის - მანანა მაჭავარიანს გადაეცათ ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართებით განსაზღვრული შესაბამისი მშენებარე

ფართები. განკარგულებების გამოცემის შემდგომ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ეტაპზე, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მანანა მაჭავარიანი გარდაიცვალა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით, N641 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის - მანანა მაჭავარიანის ნაწილში ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის განკარგულება (2024 წლის 9 ივლისის N24.1183.1335 განკარგულებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის განკარგულების (2024 წლის 12 ივლისის N330 განკარგულებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) ძალადაკრგულად გამოცხადების საკითხი მანანა მაჭავარიანის მანანა მაჭავარიანისათვის გადასაცემი ფართი, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, გადაეცემა მის მემკვიდრეებს.

მომხსენებლის განმარტებით, მემკვიდრეები ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით და შეთანხმებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები. ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება ზემოთ მითითებული პირობებით. შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაზუსტდეს განკარგულების სათაური, კერძოდ, დაემატოს ჩანაწერი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ასევე მიუთითა რომ მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ხელშეკრულება გაფორმდება საკრებულოს მიერ განკარგულების მიღებიდან 45 დღის ვადაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-16 საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 1457 კვ.მ მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემას შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2024 წლის 28 ნოემბერის წერილით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისში, ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩის მახლობლად მდებარეობს სამლოცველო, სამომავლოდ აღნიშნულ ადგილას იგეგმება ტაძრის მშენებლობა. დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა ითხოვა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადასცენ 2351 კვ.მ მიწის ნაკვეთი ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ მიმართა სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს და ითხოვა, წარმოედგინათ მათი წერილობითი პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

- სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია მითითებული ტერიტორიის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობისა და ფუნქციონირების მიზნით.
- სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მიღწეული იქნა შეთანხმება, ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთიდან 1455 კვ.მმიწის ნაკვეთი გადაეცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-17 საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათ უფლებამონაცვლეებისთვის

პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - **1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულებით წარმოდგენილი პირები არიან, ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები/მათ უფლებამონაცვლეები, რომელთა წინაშეც სახელმწიფოს საშინაო ვალი აქვს აღიარებული. „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები") განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ასევე აღნიშნულია, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები აშენებულია და მასში ფაქტობრივად ცხოვრობენ ამავე კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ნაწილი. აღნიშნული კოოპერატივის წევრთა ნაწილი, სააგენტომ გადააწაწილა სხვადასხვა პროექტებში და დღეის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილნი არიან ის პირები, ვისაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნულ მისამართზე აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, რომელიც N620 კოოპერატივის წევრებისთვის იყო გამოყოფილი. შესაბამისად, აღნიშნული პირებისთვის მათ ფაქტობრივი მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემით, მუნიციპალიტეტის ვალდებულება აღნიშნული კოოპერატივის წინაშე შესრულებული იქნება, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ფართებზე მათ საკუთრების უფლება გადაეცემათ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როდესაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ე.წ. „დაკანონების" პროექტებს და ფიზიკურ პირებს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადასცემს წლების განმავლობაში მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ფართებს, ითვალისწინებს რამდენიმე გარემოებას. კერძოდ, მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის განხილვისას, შესაბამისი რაიონის გამგეობა, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საკითხის მოკვლევას შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ჩვენებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე. გამგეობა ადგენს საპრივატიზებო ფართში პირის ცხოვრების ხანგრძლივობის ფაქტს, ხოლო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ცნობით ხორციელდება ფართით მოსარგებლე პირსა და მისი ოჯახის წევრებზე თბილისის მასშტაბით ალტერნატიული უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ფაქტის დადგენა. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ე.წ. „დაკანონების" გამომრიცხავი გარემოებაა, თბილისში, ამ პირის ან მისი ოჯახის წევრის მიერ, სხვა

საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში არსებობის ფაქტი. გარდა ამისა, გამგეობის მიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქნას სხვა დამატებითი დოკუმენტაციაც.

მომხსენებელმა დამატების სახით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, **კოოპერატივის წევრების მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული იგივე სტანდარტი,** რამდენადაც, მათ წინაშე სახელმწიფოს საშინაო ვალი აქვს აღიარებული და მათი უძრავი ქონებით უზრუნველყოფის ვალდებულება გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. შესაბამისად კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდება შეთანხმების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-18 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი N25-ში მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, გელა დავითაშვილისთვის, გიორგი შინგაზრდილოვისთვის და ზურაბი ტეტელოშვილისთვის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირები 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ისნის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა, სერგო ბირკაძემ. შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე-19 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N17-ში მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **ფიქრია ქავთარაძისთვის და ქეთევან ქავთარაძისთის (ჯამში 186.52 კვ.მ უძრავი ქონების) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირები 2004 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა, სერგო ბირკაძემ, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-20 საკითხად განსახილველი**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **ევროპის I ჩიხი N4დ-ში, მეორე სართულზე არსებული 40.70 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, გულნაზ ნაროუშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა პირმა წერილობითი განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4დ-ში, მეორე სართულზე არსებული 40.70 კვ.მ ფართის პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 15 წელია ნამდვილად ცხოვრობსმითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

სერგო ბირკაძემ, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **პეკინის გამზირი N41გ, სართული 3, ბინა N27, 12.89 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, დარეჯანი კიპაროიძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 30 წელზე მეტია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საბურთალოს რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით ის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 22-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3-ის, მე-4 მიკრორაიონის N425ა-ში,

კორპუს N1-ში, პირველ სართულზე, არსებული 30.80 კვ.მ ფართის მქონე უძრავი ქონების **პირდაპირი განკარგვის ფორმით, მარიკა გეთიასთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2011 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 23-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა ბესიკი, № 9-ში მდებარე 66.51 კვ. მ. (მათ შორის ბაქანი 3.5 კვ. მ.) ფართობის **უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, გიორგი ბარაჩაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 32 წლის განმავლობაში ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტი დასტურდება ასევე მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირსა და მისი ოჯახის წევრებისსაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

ანარი ვამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გახიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 24-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია № 48-ში მდებარე 44.98 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,**თეონა ასლანიკაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა საკუთრების უფლების მოპოვებისთვის მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას. ვაკის რაიონის გამგეობამ, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ვაკის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირსა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირი არის მიწისძვრით დაზარალებული და აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული ფართის გადაცემას სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 ნუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სერგო ბირკაძემ იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 25-ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან **16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით,** ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მოქალაქე ნათია კვარაცხელიასთვის **სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციაზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 800 (ოთხიათას რვაასი)ლარით;**

სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 1 (ერთი) წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 (ოთხიათას რვაასი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 26-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქუჩა N9-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით აბაშიძისთვის **კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2024 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 576 (ხუთას სამოცდა-თექვსმეტი) ლარით.**

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაინტერესებულ პირს, აღნიშნული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2024 წლის 20 ივლისამდე ვადით, **მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით.** ამასთანავე, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარი**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურსა და მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოამზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 27-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის **ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სს „სუში ნანიასთვის" სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით იჯარის ფორმით გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქ.თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N65ი-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 79 კვ.მ უძრავი ქონება.

სერგო ბირკაძემ კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები, რომელთა თანახმად, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 23 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 8 280 (რვაათას ორას ოთხმოცი ლარით).

სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2029 წლის 1 აგვისტომდე ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8 280 (რვაათას ორას ოთხმოცი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურსა და მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გამჟღავნებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 28-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის **პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ბიგბენისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, **აღნიშნული კომპანია საკუთრებაში ფლობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N52-ში, 1 სართულზე არსებული 320.00 კვ.მ ფართს.**

სერგო ბირკაძემ კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები, რომელთა თანახმად, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა ასევე **ყურადღება გაამახვილა** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025წლის 17 იანვრის დასკვნაზე, რომლის

თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025წლის 17 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარით.

შეჯამების სახით მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 28-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **ალ. ყაზბეგის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ჯიოსისთვის" იჯარის ფორმით** გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის მიერ აღნიშნული იქნა, რომ შპს „ჯიო" სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე, ფლობდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთს, ახლა კი მისი მხრიდან მოითხოვნილ იქნა ნაკვეთის განმეორებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმება.

სერგო ბირკაძემ კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები,რომელთა თანასმადაც, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025წლის 23 იანვრის დასკვნა, რომლის თანახმად,

ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025წლის 23 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარით.

შეჯამების სახით მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც ვაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 30-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1-13-ის მიმდებარედ არსებული **1810 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით** ქეთევან გოროზიასთვის გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან **კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.**

სერგო ბირკაძემ კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული **მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025წლის 17 იანვრის დასკვნის შინაარსი, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025წლის 17 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარით.**

მომხსენებლის მიერ აღნიშნული იქნა, რომ დაინტერესებული პირის ოჯახის წევრს (დედას) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი,

ახლა კი მისი შვილის მიერ, რომელიც წარმოადგენს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე უძრავი ქონებ(ებ)ის ამჟამინდელ მესაკუთრეს, მოთხოვნილ იქნა ნაკვეთის განმეორებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმება.

შეჯამების სახით აღნიშნა მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მრომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მიისმინეს:

31. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 31-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქ. N2-ის მიმდებარედ არსებული **16.კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით. შპს „ხოშტარია 2"-ისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან **კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.**

მომხსენებელმა კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული **მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა წლიური საიჯარო ქირის ოდენობის შესახებ, რომელიც სსიპ - ლევან სამსახურის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 12 თებერვლის დასკვნის მიზედვით განისაზღვრა და 2025 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 2 304 (ორიათას სამას ოთხი) ლარი.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით - ქალაქ თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქ. N2 მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ რეგისტრირებული უძრავი ქონება წარმოადგენს შპს „ხოშტარია 2"-ის საკუთრებას;

მოხსენების მიწურულს, **სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღინიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 3 წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 304 (ორიათას სამას ოთხი) ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და დაინტერესებულ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში აისახოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 32-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ:**

- სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურს ეწოდება **სატრანსპორტო ნაკადების მართვის სამსახური,** რაც გამოწვეულია სამსახურის მიერ პრაქტიკაში გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდოლოგიის, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მსგავსი სამსახურების გამოცდილების გათვალისწინებით.
- ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ №15-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №1 სამსახური და მარშალ გელოვანის გამზირ №4-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახური ახორციელებს იდენტურ საქმიანობას,

შესაბამისად **საქმისწარმოების და ადამიანური რესურსის ეფექტიანი მართვის მიზნით ხდება აღნიშნული სამსახურების გაერთიანება და ყალიბდება სამსახური ახალი სახელწოდებით - სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახური.**

- სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურს ეწოდება **საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმების სამსახური.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეს უკანასკნელი ცვლილება გამოწვეულია პრაქტიკიდან გამომდინარე. მიზანშეუწონელია საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების მომზადება განახორციელონ სააგენტოს თანამშრომლებმა, რადგან ეს მოითხოვს დიდ ადმინისტრაციულ რესურსს (სპეციალური ცოდნის მქონე თანამშრომელთა რაოდენობა შესაბამისი სახელფასო ფონდით), რაც უმჯობესია გამოყენებული იქნეს სააგენტოს საქმიანობას მიკუთვნებული სხვა ფუნქციების ეფექტური განხორციელებისთვის. ამასთანავე, საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების მომზადების საქმეში ოპერირებს არაერთი კერძო კომპანია, შესაბამისად დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მომსახურება მიიღონ ამ პირებისგან.

გარდა ამისა, **ნინო ბაგაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში,** სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურს მიკუთვნებული უფლებამოსილება გადაეცემა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურს.

მომხსენებელმა დამატების სახით აღნიშნა, რომ ამ დადგენილების ამოქმედებამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მიმართ საჭირო კორექტივების შეტანის აუცილებლობისას, შესაბამისი ქმედებების განხორციელება ევალება სააგენტოს.

ნინო ბაგაშვილმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან. ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ნინო ბაგაშვილმა დამატების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, მისი მიღების შემთხვევაში, **ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა, რომ თანხვედრაში იქნეს მოყვანილი დადგენილების პროექტის მე-8 მუხლის 4[1] პუნქტი განხორციელებულ ცვლილებებთან და სამსახურის სახელწოდებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „მომზადება". ასევე ჩასწორდეს პირველი მუხლის მე-17 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, რადგან ორი დაცული სადგური გაერთიანდა ერთ სამსახურად ამოღებულ იქნას „აღნიშნულ მისამართებზე მდებარე". მე-2 მუხლში კი ტექნიკურად გასწორდეს ჩანაწერი და სიტყვა „კორექტივება" შეიცვალოს სიტყვით „კორექტირება".

აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 33-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

ნინო ბაგაშვილმა კომისიის დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ ვინაიდან ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში, აუცილებელია ცვლილებები განხორციელდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში, ვინაიდან, სააგენტოს აღარ ექნება საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების მომზადების ფუნქცია და ამ ბიბართულებით ვერც დაჩქარებულ მომსახურებას განახორციელებს, შესაბამისად, უკან დაბრუნებას ექვემდებარება თანხა, რომელიც გადახდილია იმ შემთხვევისათვისათვის, როდესაც სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელია 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა და თუ სააგენტო უარს განაცხადებს ზემოაღნიშნულ მომსახურების გაწევაზე, ხოლო მომსახურების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუ უკვე არსებობს სააგენტოს უარი ერთსა და იმავე მომსახურების გაწევის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის შემდეგ, **მომხსენებელმა ისაუბრა უშუალოდ იმ ცვლილებებზე,** რომელიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით იქნა გათვალისწინებული, კერძოდ:

- **5¹ მუხლის სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**
  „მუხლი 5¹. ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე/სამუშაოების წარმოებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის შეთანხმება;“
- **ამოღებულ იქნა დადგენილების მე-5¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი;**
- **დადგენილების მე-5¹ მუხლის 5 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**
  5. „თუ სამუშაოებისთვის გამოსაყენებელი ტერიტორია ან/და საზოგადოებრივი სივრცე აღემატება 200 კვადრატულ მეტრს, ხოლო ხაზობრივი ნაგებობების შემთხვევაში 200 გრძივ მეტრს, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ საფასურს ემატება 200 ლარი ყოველ 200 კვადრატულ ან გრძივ მეტრზე;“
- **რედაქციული ცვლილება განიცადა დადგენილების მე-5¹ მუხლის7 პუნქტმა:**

7. თუ სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელია 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ საფასურს ემატება 200 ლარი ყოველი დამატებითი 30 კალენდარული დღისათვის;"

- **მე-5[1] მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„9. სააგენტოს მიერ გამოცემული აქტით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ვადის გასვლამდე დაინტერესებული პირის მიმართვისა და მის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, გარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისა, სააგენტო უფლებამოსილია სამუშაოთა წარმოების ვადა გააგრძელოს დამატებითი ვადით. 10. სააგენტოს მიერ გამოცემული აქტით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ვადის გასვლის შემდეგ დაინტერესებული პირის მიერ სამუშაოთა წარმოების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, ახალი აქტის გამოცემა ხორციელდება ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-5-მე-9 პუნქტებით დადგენილი წესით ";

- **ასევე რედაქციული ცვლილება განიცადა დადგენილების მე-5[1] მუხლის მე-13 პუნქტმა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

„13. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ თითოეული სამუშაოს წარმოებაზე ან ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ცალკე განცხადება ";

- **მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„6. ამ წესის 51 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით, ასევე 52 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური ექვემდებარება დაბრუნებას; თუ სააგენტო უარს განაცხადებს ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, ხოლო მომსახურების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას თუ უკვე არსებობს სააგენტოს უარი ერთსა და იმავე მომსახურების გაწევის თაობაზე"

მომხსენებელმა დამატების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი, მისი მიღების შემთხვევაში, ამოქმედდება 2015 წლის 17 მარტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგი, **რიგით 34-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024

წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ **„ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესში“** ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-4** მუხლის პირველი პუნქტის **„ა.გ“; „ა.ე“; „ბ.ბ“; „ბ.დ“** ქვეპუნქტებსა და **მე-6 პუნქტში.** კერძოდ, აღნიშნული ქვეპუნქტებიდან ამოღებულ იქნა საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების მომზადებასთან დაკავშირებული ჩანაწერი და დაკონკრეტდა, რომ განცხადების წარდგენის დროისთვის (არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა) გამოსაყენებელი ტერიტორიის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცეში ან/და ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მისაღებად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების სააგენტოს თანამშრომლების მიერ მომზადება, ვინაიდან აღნიშნული მოითხოვს დიდ ადმინისტრაციულ რესურსს, რაც უმჯობესია გამოყენებული იქნეს სააგენტოს საქმიანობას მიკუთვნებული სხვა ფუნქციების ეფექტური განხორციელებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ცვლილებები განხორციელდეს** „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილებაში ვინაიდან, **სააგენტოს აღარ ექნება საგზაო მოძრაობის დროებითი სქემების მომზადების ფუნქცია.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ პრეამბულაში დაემატოს დადგენილების გამოქვეყნების თარიღი და წესის სრული სახელწოდება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთსმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 35-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების**

რეგულირების წესებში“ (შემდგომში - „განაშენიანების რეგულირების წესები“) ცვლილების განხორციელებას, კერძოდ, ის მე-15 მუხლის მე-9 პუნქტის შემდგომდა მე-10ათე პუნქტის დამატებას.

მომხსენებელმა ისაუბრა იმ ცვლილებებსა და დამატებაზე, რაც განხორციელდა წინამდებარე დადგენილების პროექტით, კერძოდ:

- **„განაშენიანების რეგულირების წესის“ მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:** „10. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ერთ მიწის ნაკვეთზე ერთზე მეტი სხვადასხვა ფუნქციური ზონის (სზ-5, სზ-6, სსზ-1, სსზ-2) არსებობისას, განსათავსებელი საპროექტო შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი დასაშვებია განისაზღვროს აღნიშნულ ფუნქციურ ზონებში დადგენილი ჯამური განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართის შესაბამისად. აღნიშნული წესი არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებზე.''

როგორც მომხსენებლმა აღნიშნა, პრაქტიკაში არსებული შემთხვევების სრულყოფის მიზნით, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში, მიზანშეწონილია ერთ მიწის ნაკვეთზე ერთზე მეტი ზონის არსებობისას (სზ-5, სზ-6, სსზ-1, სსზ-2), განსათავსებელი საპროექტო შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართის ანგარიში მოხდეს აღნიშნული ფუნქციური ზონებისთვის დადგენილი ჯამური განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართის შესაბამისად.

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი, მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება მისი გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რომელიც 36-ე საკითხად განსახილველი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ სამმხრივი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში მეტროსადგურების განახლებისა და რეაბილიტაციის დაფინანსების მიზნით 2023 წლის 17 თებერვალს, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება,

რომლის საფუძველზეც, ბანკმა გამოყო სესხი 50 600 000 (ორმოცდაათი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობით. გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ (EBRD) გამოყოფილ იქნა სესხის თანმდევი გრანტი 5 000 000 (ხუთი მილიონი) ევროს ოდენობით მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) მეშვეობით. 2023 წლის 1 თებერვალს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა პროექტის მხარდამჭერი შეთანხმება, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის დაიდო პროექტის განხორციელების შეთანხმება, რომელთა შესაბამისადაც, მხარეებმა თანხმობა განაცხადეს პროექტის განხორციელებაზე. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო შეთანხმება და ფონდების გადარიცხვის შეთანხმება, რომელთა საფუძველზეც, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყო სესხის და მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) გრანტის ხელმისაწვდომობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, თბილისის მეტროს მოდერნიზაციისა და 12 მეტროსადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში, საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) თანხმობა განაცხადა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) აქციონერთა სპეციალური ფონდიდან გამოყოს გრანტი 500 000 (ხუთასი ათასი) ევროს ოდენობით. ზემოაღნიშნული გრანტის ფარგლებში, დაფინანსდება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, რომლის შესაბამისადაც, კონსულტანტი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", როგორც პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, გაუწევს ტექნიკური ხასიათის დახმარებას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს:

- **დახმარებას პროექტის განმახორციელებელი სუბიექტისთვის (PIU);**
- **დახმარებას შესყიდვის, ტენდერისა და ხელშეკრულების შესრულების პროცესში;**
- **დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსების შეთანხმებების შესაბამისად ვალდებულებების შესრულებასა და ანგარიშგებაში;**
- **გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით პროექტის განხორციელების მხარდაჭერას, რომელიც ნაწილობრივ გრანტით ფინანსდება.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 37-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე ფართობი - 3028 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს 5 (ხუთი) სართულის დამატებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6).**

მოხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 784 249 ლარს.**

ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 15 იანვრის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 3 113 699,60 (სამი მილიონ ას ცამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი და სამოცი მეასედი) ლარს**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5 დან კ-2=3.5-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით **შესაბამისი ფასის - 3 113 699,60 (სამი მილიონ ას ცამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი და სამოცი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ბაზინის ერთიან ანგარიშზე;**

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინი ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 და მე-7 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთსმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ნინი ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით **რიგით 38-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე** - ქალაქი თბილისი, კათალიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩა N17, N17ა, N19, N21, N23, N25, N21ა, N23ა; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ვართობი - 2 800 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე. **რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 20 (ოც) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის

შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).** ამასთანავე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.6), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის და 11 ნოემბრის ბრძანებებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 951 360 ლარს.** ხოლო ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 18 თებერვლის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 429,495.65 (ოთხასა ოცდაცხრა ათას ოთხასა ოთხმოცდათხუთმეტი და სამოცდახუთი მეასედი) ლარს.**

ბოძიანების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ძალიან შეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებული ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის **429 495.65 (ოთხასა ოცდაცხრა ათას ოთხასა ოთხმოცდათხუთმეტი და სამოცდახუთი მეასედი) ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ბაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე.ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მიითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ვააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 39-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე **ქალაქი თბილისი, წუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან ფართობი - 5 636 კვ.მ მიმართებით,** გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის **კ-2 ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.6-დან კ-2=3.7-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) სართულის დამატებასა და 20 (რვა) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).**

მასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით (ცვლილება შევიდა 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით) გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსებისთვის. ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით **შეთანხმებულია** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი **(საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის არეალში კ-2=4.6, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის არეალში კ-2=1.5).**

მოხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება **2024 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 848 014 ლარს, საიდანაც საცხოვრებელი ზონა 3-ში (სზ-3) არსებული 3621 კვ.მ ფართობის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2 899 834 ლარს, ხოლო საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) არსებული 2015 კვ.მ ფართობის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4 948 180 ლარს.**

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 12 თებერვლის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გასამუალებული კ-2 კოეფიციენტის 2.6-დან 3.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 3,320,313.62 (სამი მილიონ სამას ოცი ათას სამას ცამეტი და სამოცდაორი მეასედი) ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.6-დან კ-2=3.7-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა 'პირმა' ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - **3,320,313.62 (სამი მილიონ სამას ოცი ათას სამას ცამეტი და სამოცდაორი მეასედი) ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-40-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე **ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან ფართობი - 5 496 კვ.მმიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის** შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მოხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელმემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება **კ-2=5.2-დან კ-2=5.9-მდე,** რაც გულისხმობს „ბ" ბლოკზე 2 სართულის დამატებას **(საერთო ჯამში 18 მიწისზედა სართული).** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მოხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 17 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 8 235 377 ლარს,** ხოლო ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 5.2-დან 5.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,108,608.44 (ერთი მილიონ ას რვა ათას ექვსას რვა და ორმოცდაოთხი მეასედი) ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 5.2-დან 5.9-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის **1 108 608.44 (ერთი მილიონ ას რვა ათას ექვსას რვა და ორმოცდაოთხი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;**
- დაინტერესებულმა პირმა ამ ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე.ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- **დაინტერესებულმა პირმა** მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 41-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე **ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2 348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის** შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება **კ-2=2.5-დან კ-2=3.9-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 10 (ათ) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ).** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილია **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 499 053 ლარს.** ნიღბი ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 25 თებერვლის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან - 3.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,959,469.68 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხას სამოცდაცხრა და სამოცდარვა მეასედი) ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 3.9-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 959 469.68 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხას სამოცდაცხრა და სამოცდარვა მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის სებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	**ნინო ვარდოსანიძე**
სხდომის მდივანი	თ. ხვედელიძე	**თეონა ხვედელიძე**